ნიანგი

16

გამოცემის 54-ე წელი. (№ 1506). აგვისტო. 1977. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ფირცხალავასი

— ექიმო, რაღაც ავადმყოფობა დამჩემდა, ძველ ნაცნობებს ვე-
ღარ ვცნობ!
— მომილოცავს დაწინაურებას!

60

თქვენთან ვრეკავ!..

ტელეფონო, დღე და წამი
დაგელოცოს დაბადების! —
ყურთან ზიხარ, სახადი ხარ,
რა იოლად გადამდები!
ტელეფონო, შენით ვიგებთ
ამა სოფლის ჭორს და მართალს!
ასი კაცი არ ეყოფა,
რასაც შენი დისკო მართავს!
ტელეფონო, სასწაულო
საუკუნის (მეოცისა),
ყოვლისმსმენო, სად იტყვი, რომ
შენ არ წაჰყოფ შავ-შავ ცხვირსა?!
გაგიკეთებთ ხელკავს თუკი,
უმალ შენი მონა გვქვია!
ტელეფონი დღეს ოჯახის,
კაბინეტის მონარქია!
ტელეფონო, სულსა ღაფავ,
შუბლს გისველებს ოფლი სიმწრის,
შენი ხმით და შენი ზარით
ზოგი ხარობს, ზოგი იწვის!
არ თხოულობ, — შენ არც იცი
კარგად გემო შვებულების, —
მშვიდად გვძინავს აგარაკზე,
შენ თუ საღად გვეგულები!
ტელეფონო, ჩემს ტვინშიაც
რეკავს შენი დედოზარი,
თუმცა... მგონი, გამეჩხირა
ყელში ბოღმის დინოზავრი!
რაკი ხელი ტელეფონთან
თითქმის ყველას მიუწვდება,
ზოგი ყურმილს გულის ძილშიც
არ იცილებს, მიუწვება.
ტელეფონით ხტუნავს სკამზე,
ტელეფონით იცვლის სკამებს,
ტელეფონით ჩასვეს შტატში
(ზარი შტატსაც აზანზარებს!)
ტელეფონით შემოურბენს
ევრაზიას გარდიგარდმო,
ტელეფონით გამოუყვანს
გაზ-24-ს კაცი სანდო.
მასზე უკეთ არვინ იცის
რეკვის ფასი, რეკვის გეში,
ზის და გრძელ ზარს, თვიდან თვემდე,
ყარაულობს სავარძელში!
ტელეფონში იცვლის პოზას,
ხმას — ბარიტონს; პროფილს, ანფასს,
საწყობებს და მაღაზიებს
ტელეფონით გადაზაფრავს.
ტელეფონით ბევრი მისი
მეგობარი გაითვალა,
მტერს, თუ... კბილი ტელეფონში
ერთხელ მაინც დაგითვალა!
ტელეფონით ცხრა მთას იქით
გადასძახა, შეაღწია,
ზოგს ღიმილი, მავანს ფული,
მავანს — ოქრო შეაწია!..
ხან ჩასძახებს, ჩასჩიჩინებს,
ეფერება ყურმილს შორით,
იბღინძება, იჩუტება
ტელეფონით, ტელეფონით!..

* * *

შენ რას გერჩი, ტელეფონო,
სიტყვას სხვაგან ვაცურებო, —
თქვენთან, თქვენზე, თქვენთვის ვრეკავ
ტ ე ლ ე ფ ო ნ ა კ ა ც უ ნ ე ბ ო!

ზაზა კაციაშვილი

ნიანგის დოკტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცხოვრობთ თბილისში, ორჯონიკიძის რაიონში, ყიფშიძის ქუჩაზე № 8 სახლში. კეთილმოწყობილ და მყუდრო ბინებში უკვე სამი წელია სიმყუდროვე დაირღვა. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გვაქვს გამოცხადებული კალიასავით მომრავლებულ მოსუქებულ-მომძლავრებულ ვირთხებთან. ისინი უკვე მეხუთე სართულამდე ამოვიდნენ. კარებს რომ არ ვუღებთ, ფანჯრიდან შემოდიან. ბავშვები და მოხუცები გავხიზნეთ, ჩვენ შევიარაღდით, მაგრამ მტრის რიცხობრივი უპირატესობა თავისას შვრება. დასახმარებლად მივმართეთ ქალაქის სადეზინფექციო სადგურის პროფდეზგანყოფილებას, რომელმაც ტექნიკის უკანასკნელი სიმძლავრის გამოყენება დაავალა ორჯონიკიძის რაიონის დეზპუნქტს, ამ უკანასკნელმა კი მოძველებული, ძალაგამოლეული ბუზების დასახოცი სითხე იხმარა, რამაც უფრო გაალიზიანა, ისედაც ჩვენს მიმართ აგრესიულად განწყობილი ვირთხები.

გთხოვთ დაგვეხმაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევისწავლოთ ვირთხების ენა და მოლაპარაკება ვაწარმოოთ, რათა შეცვალონ მიმართულება და ახლა გეზი ორჯონიკიძის რაიონის დეზპუნქტისკენ აიღონ.

—.—

რუსთაველის, შექსპირის, ჭავჭავაძის, გორკის, წერეთლის, ვაჟაფშაველას, გალაქტიონის და სხვა მრავალი მწერლისა და პოეტის წიგნებია დატყვევებული გაგრის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში. შეკრულ-შებოჭილი, გადაუშლელი, დამტვერიანებული, მკითხველს მონატრებული წიგნები ელიან შველას და მოწყალებას. ამის შესახებ გაზეთ „ავანგარდის" ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილები — 1975 წლის 27 თებერვალს და 1976 წლის 30 სექტემბერს. ორ წერილს ერთი სამიზნე ჰქონდა: გაგრის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა, 23 ათასი წიგნის გადარჩენა წვიმისა და ქარისაგან. სამწუხაროდ, ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკა დარჩა ვითარც ღაღადი უდაბნოსა შიგან.

საინტერესოა, რას გვიპასუხებს გაგრის ქალაქის საბჭო და მისი სამშენებლო-სარემონტო კანტორა. იქნებ იფიქრონ, ორჯერ გამოქვეყნდა პრესაში და მერე რა მოხდა, მესამეჯერაც ერთ ყურში შევუშვებთ და მეორეში გავუშვებთო.

ამ შემთხვევაში ვარაუდი ვერ გაამართლებს.

—.—

თბილისში წითელ პარტიზანთა № 12-ში მდებარე სახლს სახურავი აქვს დაზიანებული და მეშვიდე სართულზე მცხოვრებნი პარტიზანებივით ღია ცის ქვეშ ვცხოვრობთ. საოჯახო ნივთები (ტაშტი, სარეცხის ქვაბი და გობი) მაქსიმალურად გვაქვს გამოყენებული წვიმის წყლის დასაგროვებლად. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ონკანში წნევის ნაკლებობას სახურავიდან ჩამონადენი წყალი ავსებს. სახლმმართველობაში სიარულით და თხოვნით დავიღალეთ (ორჯონიკიძის რაიონის სახლმმართველობა № 75. სახლმმართველი კ. ჭიჭინაძე) გვპირდებიან სახურავის შეკეთებას, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია დაპირება დაპირებად რჩება.

ჟანი სიხარულიძე

ნახ. ჭ. დეისაძისა

— ოქრო გადაგაკრა, თუ ვერცხლი?
— ჯინსი, ექიმო!

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— ხანძარს ეძებენ?
— არა, წყალს!

ვაი-ტრადიცია

ახალმოსახლეობა რომ ვიზეიმეთ, ჩემი ნინიკო ორი თვისა იყო. როგორც კი ერთი წელი შეუსრულდა, ბაგაში წავიყვანე. მეც პირველად შევაღე სამსახურის კარი და პირველად გადავბრუნე ტაბელი. ბედნიერება, აბა, სხვა რა არის? — ქმარ-შვილი კარგი მყავს, ბინაც კარგი მაქვს. სადარდებელი და სამწუხარო რაღა დამრჩა? ჩემს ოცნებას ფრთები შეესხა!..

კარგად მახსოვს, იმ დღეს ხელფასს არიგებდნენ. სალაროსთან დიდი გამოცოცხლება იყო. ვინ სიმღერით მიიჩქაროდა, ვინ ოხუნჯობდა... ახალგაზრდობა გეგმას აწყობდა, სად ვიქეიფოთო. თითქმის ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ, მხოლოდ თითო-ოროლა ჩანდა განაწყენებული: ისინი უხალისოდ მიიზლაზნებოდნენ სალაროსთან მჯდომ ქალბატონ ნატოსთან, ყველას მამადას რომ ეძახიან! ნატო ფულს კრეფდა ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთი წევრის მამის გარდაცვალების გამო. მაშ, როგორ?! დაუმარხავს ხომ არ დატოვებს?! ქელეხი ხომ უნდა გადაუხადოს?!

დღე დღეს მისდევს. მე კი ვოცნებობ იმ სანატრელ წუთზე, როცა ხელფასს ავიღებ და ოჯახს რაიმე სამახსოვრო ნივთს შევმატებ.

ისე სწრაფად გაირბინა ორმა კვირამ, ხელფასის მისაღებად რომ დამიძახეს, გამიკვირდა და კიდეც გამიხარდა. მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მოლარის გვერდზე ჩასაფრებულმა „ყველას მამიდა ნატომ“ მიმიხმო. მეც სიტყვის პატრონ მევალესავით წარვდექი მის წინაშე და შევუდექი „ვალის“ გასტუმრებას: თანამშრომლის გარდაცვლილი მამის დასამარხად — ეს ერთი, ეთერის ახალშობილის საჩუქრისათვის — ეს ორი, ქეთინოს დაბადების დღის საჩუქრისათვის — ეს სამი...

ჩემი სიხარული მწუხარებამ შეცვალა. გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა შეამცირეს ჩემი ბიუჯეტი. არც ეს მაკმარეს და იმით მანუგეშეს, რომ, როგორც ახალ თანამშრომელს, პირველ ხელფასზე ნახევარი გადამახდევინეს, დანარჩენი მეორე ხელფასზე უნდა გადამეხადა. გაგონილი კი მქონდა ამ დაწესებულებაში „ვაი-ტრადიციის“ შესახებ, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ აღმოვჩნდი, მაინც მემწარა...

ბავშვის წამოსაყვანად ბაგაში მივედი. მოსაცდელში დარბაისელი ქალი გამომელაპარაკა. მკითხა, რომელ ჯგუფში იყო ჩემი ნინიკო. თურმე მისი ბავშვი ჩემს გოგონასთან ერთად ყოფილა. ძალიან გაუხარდა. ცოტა ხანში უკვე შინაურივით მითხრა: „საიდუმლო უნდა გაგანდოთ! მოგეხსენებათ, რომ ყველგან — სკოლებში, დაწესებულებებსა თუ ბაგა-ბაღებში საჩუქრისთვის ფულს აგროვებენ. ჩვენც გადავწყვიტეთ, შევაგროვოთ ფული და ჩვენი ბავშვების აღმზრდელს ბავშვთა დაცვის დღისთვის საჩუქარი ვუყიდოთ. თუ ფული თან არა გაქვთ, არა უშავს, თქვენს მაგივრად მე დავდებ!“

... ორ თვეზე მეტი იქნება, ჩემი ძმა და რძალი არ მენახა. მომენატრნენ ძმისშვილები. მათ ახლობლებში სასიარულოდ სად სცალიათ, ხუთი შვილის მშობლებს ზედმეტი დრო როგორ ექნებათ?! გულმა მათკენ გამიწია. კარებში შემომეგებნენ რძალი და საბავშვო ბაღის ასაკის პაატა და თამრიკო. მალე სკოლიდან მოვიდნენ ეთერი, გოგი და დათო. ერთმანეთს არ აცლიდნენ, სამივენი ფულს ითხოვდნენ საჩუქრებისათვის. არც მუსიკის მასწავლებელი დაივიწყეს. თვალები დავხუჭე და ოცნებას მივეცი თავი... მომაგონდა, დაქორწინებამდე როგორ ვოცნებობდით მე და ვაჟა მრავალშვილიანი მშობლები გავმხდარიყავით. ის იყო, ხელი უნდა ამეღო ამ განზრახვაზე, რომ უცებ ცეცხლი მომეკიდა... არა, მაინც ჩვენ რატომ უნდა ავიღოთ ხელი ჩვენს განზრახვაზე?! უმჯობესი არ იქნება, ეს ვაი-ტრადიცია დავგმოთ? ვიცი, მრავალნი დამიჭერენ მხარს, ბრძოლას გამოუცხადებენ ამ მავნე ჩვეულებას და ჩვენც გავხდებით მრავალშვილიანი მშობლები!

გივი ჩირაძე

ჭიქა ბორჯომის წყალი

უზარმაზარ, გადამეტებულად მორთულ დარბაზში მმართველი თათბირს ატარებდა. მის წინ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ბორჯომის წყლით სავსე ბოთლი და ბროლის ჭიქა იდგა.

არავინ უწყოდა მმართველის დამოკიდებულება ბორჯომის წყლისადმი, მაგრამ თანამშრომლებისათვის ცხადი იყო, ბორჯომის წყლით ხაზგასმული იყო მისი უპირატესობა მათ მიმართ. ეს აზრი მათ უფროსის მელოტმა მოადგილემ ჩააგონათ და შემდეგ თანდათან განუმტკიცდათ, როცა მისივე წყალობით ბორჯომის წყლით სავსე ბოთლი მმართველის მაგიდაზე ურყევ ტრადიციათ იქცა.

მმართველი დამრიგებლური ტონით ესაუბრებოდა მისკენ სახით მიხრილ თანამშრომლებს. საუბრობდა თავის დამსახურებაზე ზემდგომ ორგანოებში, საიდანაც ახლახან მობრუნებულიყო, რომ მისმა საქმიანმა შენიშვნებმა დიდი კამათი გამოიწვია და მოწონება დაიმსახურა. მოკრძალებულ სიჩუმეს ოდნავი შრიალი არღვევდა, რასაც მმართველის თანხმობის ნიშნად თანამშრომლების თავების რხევა იწვევდა.

მოწონების დასტურში განსაკუთრებულად აქტივობდა მმართველის მელოტი მოადგილე, რომელიც ადგილზე ცმუკავდა და მოჭუტული თვალებიდან უცნაურ ნაპერწკლებს აფრქვევდა.

დარბაზის უზარმაზარი კარი უხმაუროდ გაიღო. ჯერ მდივანი ქალის გაბურძგნილი თავი გამოჩნდა და მყისვე მიიმალა, ხოლო შემდეგ დინჯი, თავდაჯერებული ნაბიჯებით კაბინეტში ახოვანი ჰაღარა კაცი, უწყების მინისტრი შემოვიდა, რომელმაც კაბინეტის კუთხეში მიდგმული სავარძელი დაიკავა. დარბაზში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა... უხერხულად შეიშმუშნა მმართველიც, თითქოს ბავშვს ცელქობაზე წაასწრესო, სახეზე მედიდურობის იერი გაუქრა და თანამშრომლებმა ახლა შენიშნეს, რომ მმართველს მარჯვენა თვალი და წარბი უფრო მაღლა, შუბლთან ახლოს ჰქონდა, ვიდრე მარცხენა. მარცხენა ყბა კი შესამჩნევად დაგრძელებოდა. პაუზის შემდეგ მელოტმა მოადგილემ მმართველს რაღაც წასჩურჩულა და მანაც ენის ოდნავი ბორძიკით კრებას აუწყა, რომ თათბირს მინისტრი ესწრებაო. ამის გამოცხადება ძლივს მოასწრო, მელოტი მოადგილე ფეხზე წამოიჭრა. მმართველის მაგიდაზე მდგარ ბორჯომის ბოთლს და ჭიქას ხელი წამოავლო და ოფიციანტის მოქნილობით მინისტრის სავარძლის წინ პატარა მაგიდაზე დადგა. შემდეგ მზერა მმართველისაკენ გააპარა. არავინ იცის, მოწონების თუ პროტესტის ნიშნათ მმართველის სახემ რაღაც გაურკვეველი გამომეტყველება მიიღო. მელოტმა მოადგილემ ეს პროტესტად ჩათვალა და მდგომარეობის გამოსასწორებლად ბოთლი ჭიქაში ჩააპირქვავა და პირთამდე სავსე ჭიქა აკრობატული სიზუსტით გადაატარა თავზე იქვე მჯდომ მმართველის პირველ მოადგილეს და მმართველის წინ მაგიდაზე დადგა. მინისტრმა ფანქარი ოდნავ შესამჩნევი ნერვიულობით შეათამაშა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა, მელოტი მოადგილე სკამზე დაეშვა და გაიყინა. უკანა რიგებში ჩურჩული გაისმა. მმართველმა ჭიქას ხელი დაავლო და ტანის უხერხული მოძრაობით მინისტრის წინ მაგიდაზე დადგა, შემდეგ ოდნავ წახრილი თავის მაგიდას მიუახლოვდა და სიტყვა თავის პირველ მოადგილეს მისცა, თვითონ სავარძელში დაეშვა და გაირინდა.

პირველი მოადგილის ლაპარაკი არავის მოუსმენია. ღრუბლებიდან მზემ გამოანათა. მზის სხივებზე გამოჩნდა მელოტი მოადგილის დაცვარული თავი და კისერი.

მინისტრის წინ ბორჯომის წყლით სავსე ჭიქა საბედისწეროდ კიაფობდა.

გ. ბორჯომელია

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— მაგის ხელში წიგნი არ დამინახავს და როგორ ჩააბარა მანქანაზე გამოცდა?!
— მეხუთე კლასიდან სპორტლოტოს თამაშობს და გამომცდელ მანქანაზე ოთხ ციფრს ვეღარ გამოიცნობდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალმხრივობა

ამბობდნენ შენზე
(ცხადია, გახსოვს):
მუდამ პოეტებს
უმენსო ლაფსო,
შენ ახლაც ღელვაში
ეძებდი ლაფსუსს
და ვერაფერი იპოვე?
— ააფსუუუუს)..

ამო გარჯა

წერ,
არ გამოდის თხზულება, არა!
შეწმი იმ ნიჭის სადაა ლიმო,
წყალი არდეს მოიგდებს
კარაქს,
რაც უნდა
დღვიბო,
დღვიბი და
დღვიბი!..

გიორგი ფეთეკაური

ეკონომია

ზოგიერთ ორატორს

„ამხანაგებო!" — იწყება
და სათქმელს აღარ ამბობ!..
ერთსა გთხოვ, თუ არ გვიწყენ:
დაბრძანდი, ამხანაგო!

არასასაცილო ალიტერაცია

გამოცდილმა გამომცდელმა
გამოუცდელ გამოსაცდელს
ნაცნობად და გამომცდელად
გაუცინა გამოცდაზე!

ნიჟილისტი

„ვეფხისტყაოსანი"
ჯერ არ წაუკითხავს!..
მიტომ ვერა ბედავს
მასზე აუგის თქმას!

* * *

ერთი უვიცი კაცუნა
ცრუმეცნიერმა აცდუნა
და უცბად დაიცვივნა
წყალწყალა დისერტაციუნა!

* * *

წელს შოვში ველარ გავუშვი,
ცოლი დავტოვე უშოვოდ!..
„უშოვო ჩუღქს" და „შუბას"
მთხოვს! —
რომ მოკვდე, უნდა ვუშოვო!

* * *

გამოლმა მე ვარ, გალმა — შენ!
შენ გალმა გასვლაც გაკვაჰე!

ბათუ მელია

ნახ. ა. კანდელაკიძისა

— ბოლოს და ბოლოს, რა არის საჭირო, წყალტუბის სანატორიუმ რომ მომცეთ?
— რეკომენდაციები!

ნახ. ი. ქოჩიაშვილისა

— ნახე, სარგო ამ სიბერეში რა მოდაზე იცვამს?
— შვილები მოდიდან გასულ ჟოტტომებს უთმობენ და ჩაიცვამს, აბა, რა იანგბაპ?!

ცხენით სვლა



— ეი, ბატონო, ბევრ დროს არ წაგართმევთ, სულ ათი წუთი...

— ათი?!

— დიახ, შეიძლება ოცი...

— ოცი?!.

— ჩვენს ეზოში ოცდაათი მეტრის დაშორებით...

— ოცდაათი?!

—არა, ორმოცი, უფრო სწორად ორმოცდაათი...

— ორმოცდაათი?!

— ... დაშორებით ხრიოკი ადგილია, სადაც გარაჟის აშენება შეიძლება. ასჯერ მიგმართე თხოვნილ...

— ასჯერ?!

— ... რომ მოეცათ გარაჟის აშენების ნებართვა. აბა, სად წავიღო მანქანა?! ათასი ვინმე შეგაწუხე...

— ჰოო, ათასი...

კომპიუტერის ციმციმა თვალები ახლა პირდაპირ შემომაცქერდნენ.

მივეცი ათასი და... მომცა გარაჟის აგების ნება.

ზურაბ ყორლანაშვილი

იგი მე არ მიყურებდა. მისი მწვანე თვალები უაზლესი კომპიუტერის ლამპებივით ციმციმებდნენ, ელვის სისწრაფით ითვლიდნენ...

ვინა ვარ...

რა მინდა...

რა განზრახვა მიდევს გულში...

იგი პირდაპირ არ მიცქერდა, მაგრამ მისი თვალები ზემოს ირგვლივ დაფათურობდნენ, ცდილობდნენ ჩაეხედოთ გულში, გაენეკრეკათ ჩემი გონება, ამოეცნოთ ნაფიქრალი...

ერთ წუთს ზურგს მიდმა გადამხედეს, კარგა ხანს დაყოვნდნენ...

ვინ მიმაგრებს ზურგს?..

შემდეგ ოდნავ დაშშვიდდნენ.

იგი სკამის ზურგზე გადაწყო ხალვათად და წითელ ღილაკს დაეჭირა თითი.

ოთახში ისეთი აჭრელებული მდივანი შემოვიდა, რომ ვინტერე, — რატომ დალტონიზით არა ვარ-მეთქი.

ეს „ცხენით სვლაც" ჩემთვის იყო გათვალისწინებული: — თანამდებობის პირთან მჭირდა საქმე, მდივან-სკამიან პირთან!

ნახ. ბ. ლომბიძისა

— ეგენი მე ვერაფერს დავკარგავენ!
— კრუტალლოზის დიპლომს დაგინახავენ და ყელში დანას ამოგისვამენ!

პატივცემული თავმჯდომარე! ალბათ გაგიკვირთ, საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი გახლავართ. საქმე შემდეგია: ამ ერთი კვირის წინ თქვენი ფრიად საიდუმლო გამოძახებისთანავე ინსტიტუტში გიახლოთო და პირობა მოგვეცით, რომ კაკაბარლეანი თქვენს ნდობას და ელფილნიციერად მოიგებთოთ ვალს გამოკვლევის წინაშე. მაგრამ, ვაი რომ მუხთალი წუთისოფელი. თქვენი კაბინეტიდან გამოსვლისთანავე უკან ამდევენ ერთი კაცი და სამი დედაკაცი. შეთქმულმა მზვერავი ქიანჭვეულებივით სახლამდე მიდეს და მერე ამრიალებრივით გაკრნეს. ღამის 12 საათზე ჩემს ოთახის კარებსა. სამი უძლეურესი მიმკაბ. შედეგად დამშეული ადამიანის ბახალსავით გაიფო პირი და უმიდიმოდ შემოვარდნილმა ეცნობებმა დამიტოვეს სამი ცხვარი, ორი ვაკი და ერთი შემწვარი ბოკი. დაწყნეს კალთაში რა არის, დღესაც არ ვიცი?! ერთი ვაკი ირჩოეება, რისთვისაც ეთხოვთ, ოთახში შესელსას, „ეგზეფერი შემოსაკეკის თავიდან აკილების პიზნიი, მიჩანარის ქუდი დაიხეროთ, რადგან წვეტანინ რქის წვერების ანაბეკები ახლაც ამჩნევია ჩემს სარკესავით მოკრიალებულ შუბლს! მოულოდნელობით დაბნეულმა ბიზნერეულვით ავტეხე ყეფილი და საკმაოზე მეტად შეკანინე ძსედაც შინაენტელ ცხვრები და ვაკები. ორ ლეგბიე სოლიდარულად ბოავილთთ და კოკინი ამაკენენ. ჩემი ყეფილი ნირწამხდარმა ეცნობებმა გაქცევით უშველეს თავს და რაფენიმე საათის შემდეგ ოთახში შემობიგეს ბარათი, რომელზეც ჩიქორიფელი ქარიფელი ეწერა: „ოთ სოცოტრე კარ ბოგიეულბია, ხეთს დაეწერ გ. ნ.

ლეოლეილის აღსარება

ტაბალაქრ". ეს იყო და ეს, ოცი წლის შემდეგ ჩემმა ტალეფონმა ისევთ ხმაურეს ატეხა, რაგორსაც დასახრობად განწირულნი გაიპარ ხოლმე მაშველის გამოჩენისას. ტალეფონის ყურმილიდან ზოგი აშენეგას ჰპირდებოდა და ზოგიც დამშენებას. ერთნი რომ მაშინებდნენ, მეორენი თავს მაბრალებენენ. ახლიდელი თუ შორეული ნათესავები, ნათესა

მეც მეცინება

თუმც გამოცდებმა მარგუნა
ბევრი ოხვრა და კვნესა მე, —
შვილი მესამედ ვერ მოხვდა,
გამოფურცუხდა მესამედ,
ჩაიჭრა პირველ წელიწადს,
არ ეყო ცოდნის „ბაგაჟი“,
მეორედ ქულა დააკლდა
მაპროფილებელ საგანში,
მესამედ ისევ ჩაიჭრა
და შინ დაბრუნდა განგაშით!
აღარ დავეძებ, არ ვწუხვარ,
რაც დღე დამადგა ბნელიო,
მართალი უთქვამთ, რომ ზოგი
ჭირია მარგებელიო:
მიშველა შვილის ჩაჭრამა,
გული სიამით ივსება,
გამწყრალი ნათესაობა
შემომირიგდა ისევა.
„რას მოაწყობდი ჩვენს შვილებს,
შე პირქვე დასამარხავო,
ვერ მოგიწყვია შენიცა,
ყოფილხარ მართლა გლახაო!“ —
ამბობენ მოურიდებლად,
თან ჭიხვინებენ კვიცივით,
მეც მეცინება ხანდახან,
მათ ლაპარაკზე ვიცინი.

ნოდარ შამანაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

— სანამ ოფიციანტი მოგემსახურებათ, ამით შეიქციეთ თავი!



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ



ნახ. მ. მჰედლიშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. გ. ფირცხალავასი



მივლინება

ტრამვაის გაჩერებაზე ბოჩოლასავით ყურებჩამოყრილი ვიდექი. ტაქსი ტორეადორივით გადამელობა.

— გარაჟში ვერ წამიყვან? — გავუყარე თვალი თვალში.

— ოღონდ ეგ არ მიხსენო და რაც გინდა მთხოვე! — „სტოგრამივით“ მაჯახა მძღოლმა.

— მე გარაჟი მინდა!

— გარაჟი არ ვიცი მე, თუ გინდა, მესამე მასივში წაგიყვან!

— გარაჟი, გარაჟი და მხოლოდ გარაჟი! — ავუვირდი მთელი ძალით.

— ამ შუაღამისას რა გარაჟი აგიტყდა, ავად ხომ არა ხარ? — გაოცებით შემომხედა მძღოლმა და წასვლა დაუპირა, მაგრამ ვინ აცალა: სწრაფად კარებს ვეცი და მანქანაში მოვკალათდი.

— გარაჟში წახვალ! — ვუბრძანე მძღოლს.

— მე მესამე მასივში მივდივარ! — გაჯიუტდა იგი და მანქანა ჩართო. ასე არ გინდა-მეთქი, გულში გავიფიქრე და მანქანის გასაღები ღრეჩოდან გამოვგლიჯე, ჯიბეში ჩავიდე.

— იცოდე, გარაჟში წამიყვან! — ჩავხედე თვალებში.

— არ წაგიყვან! — დამხედა მკლავებზე.

— მაშინ კარგად იყავი! — დავემშვიდობე მძღოლს და თვალით ვანიშნე, მანქანიდან გადასულიყო. მას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ჩემი უზომოდ განიერი მხარბეჭის დანახვაზე, იძულებული გახდა, ტაქტიკა შეეცვალა:

— კაი, ბატონო, იყავი მანდ, თუ არ მოგწყინდება! — თქვა და მანქანიდან გადავიდა, შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინა და პირველივე შემხვედრ ავტობუსს შეახტა.

მეც ეს მინდოდა, მოხერხებულად მოვეწყე სალონში, ჩავრთე მონტე-კარლოს საესტრადო პროგრამა და სალვადორე ადამოს „თოვლი ცვივა“-ს რიტმებში ტკბილად ჩავთვლიმე.

მეორე დილას, გაღვიძებისთანავე მძღოლის ძებნას შევუდექი, მაგრამ მისი კვალიც კი ვერ აღმოვაჩინე. ამიტომ მანქანა სახალხო რაზმელს ჩავაბარე და სამმართველოსაკენ გავეშურე სამსახურებრივ საქმეებზე. ეს ჩემი მივლინების უკანასკნელი დღე იყო ამ ქალაქში. გუშინ კი... სასტუმროში ადგილი რომ ვერ ვიშოვე, იმიტომ მოვიქეცი ასე, აბა, რა მექნა?

ქალაქის სტუმრებო! ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ! თუ მაღალ-მაღალ სასტუმროებს ვერ გამოჰკრავთ კლანჭს, ძალიან ნუ დაღონდებით, რადგან თქვენს განკარგულებაში იქნება ახალი, ულტრათანამედროვე სუპერსასტუმროები — „ოტელ-გარაჟები“, რომლებიც აღჭურვილნი არიან შესანიშნავად მოძრავი გაზ-24—მანქანა-სალონ-ლუქს-ნომრებით. მათი გამოყენებით სურვილისამებრ შეგეძლებათ, ღამე გაათიოთ ქალაქის ნებისმიერ ისტორიულ და არაისტორიულ უბანში! საიდუმლო მე რომ გაგიმხილეთ, სუ! არსად წამოგცდეთ!

მალხაზ ცოტაძე

—ბიჭო, რა მოუვიდა ბებია-შენს?

— ნიგოზს ნაყავდა და იარაკი ჩაენგრა!

ნაყოფიერი შრომის შემდეგ რომ კულტურულად დაისვენოს კაცმა, სოფელს კულტურის სახლი და აბანო უნდა ჰქონდეს, ბიბლიოთეკაზე და მაღაზიაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენ კი ამ სიამოვნებას მოკლებულნი ვართ.

გურჯაანი, სოფ. **კარდანახი.**
გურჯაანი, სოფ. **ჯიმითი.**
მცხეთა, სოფ. **აღდგომიანთკარი.**
ქარელი, სოფ. **პირველი წვერი.**

—.—

— გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით სკოლა, მაღაზია, სასოფლო საბჭო,—მღერიან ჭიათურის რაიონის სოფ. ბერეთისელები. მათ ბანს აძლევენ ხობის რაიონის სოფ. ხამისკურელები, გორის რაიონის სოფ. ატენისჯვბირის უბნელები, ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათელები და ითხოვენ ხიდის გაკეთებას მდინარე დუმალაზე, სახალიკოზე, ტანაზე, დეხვაზე.

—.—

ქუჩა ისეთი მტვრიანი და გაფუჭებულია, რომ ვერ ვერ-კვევით ხანდახან გამოჩენილი ავტობუსი მართლა მოდის თუ გვეჩვენება. ავტობუსი რომ ცუდად მოძრაობს, არც გვიკვირს, ასეთი გზა ავტობუსს კი არა, მუხლუხა ტანკს გამოიყვანს მწყობრიდან.

სოხუმი, ბზიფის გზატკეცილი, № 49.
ხარაგაული, სოფ. **ფონი.**

—.—

ყოველთვის რომ მთვარიანი ღამე იყოს, ჩვენს გაჭირვებას მაინც ვერ უშველის: ტელევიზორი, უთო, მაცივარი და სხვა ელექტროხელსაწყოები მთვარის შუქით ხომ არ იმუშავებენ?

თერჯოლა, სოფ. **რუფოთი,**
თერჯოლა, სოფ. **საზანო,**
გ. და შ. გოგბერაშვილები.

—.—

კოლექტიური სალამი ნიანგს! იძულებულნი ვართ იძულებით უარი ვთქვათ ტელევიზორებზე, რადგანაც ცისფერი ეკრანი სიამოვნების მაგივრად ნერვებს გვიშლის.

რა გახდა ნორმალური ტელეანტენის დადგმა? ჩვენც მოვისვენებთ და თქვენც ალარ შეგაწუხებთ.

ამბროლაური, სოფ. **წესი**
ასპინძა, სოფ. **ნაქალაქევი.**
ახმეტა, სოფ. **ჩაბინაანი.**
ლენტეხი, სოფ. **სასა.**

—.—

და კიდევ ერთი კოლექტიური:

... გადათხრილ-ატალახებული მისასვლელები, წყლით ამოვსებული სარდაფები, ბათქაშაცვენილი სადარბაზოები, პარკეტაყრილი იატაკები, გამსკდარ-გაგლეჯილი კანალიზაციის მილები, კოლოებისაგან დაკბენილი ბავშვები, აღშფოთებული მცხოვრებლები.

მისამართი: ქ. თბილისი, III მასივი, მე-9 კვარტალი, მე-5 კორპუსი.

კოლექტიურ წერილს ხელს აწერს 32 მოქალაქე, რომელიც 32 ოჯახს წარმოადგენს.

ნახ. მ. აბაშიძისა

— ჩემი უფროსია, გუშინ გამარჯობა ვუთხარი და დღეს ხელს მიწვდის!

წერილების კვალდაკვალ

— წყალს ნახევარი კილომეტრის მანძილიდან ვეზიდებით, ზოგჯერ იქაც არ არის, — წერდნენ რედაქციას ლაზოს ქუჩის № 3 სახლის მცხოვრებნი. წერილი დაიბეჭდა „ნიანგის“ მე-7 ნომერში.

თბილისის კომუნალური გაერთიანების საწარმოო სამმართველო „თბილწყალკანალიდან“ გვატყობინებენ, **რომ შამპანური ღვინოების ქარხანამ, დახარჯული წყლის ღირებულების გადაუხდელობის გამო, ლაზოს ქ. № 3 სახლს შეუწყვიტა წყლის მიწოდება.**

ამჟამად, საქმე მოგვარებულია და ლაზოს ქ. № 3-ის მცხოვრებნი წყალს შეუფერხებლად ღებულობენ.

—.—

ჩვენი ჟურნალის მე-5 ნომერში დაიბეჭდა ონის რაიონის სოფ. ღარის მშრომელთა საჩივარი — ღარში წყალი არ მოდისო.

ონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გვაცნობა, **რომ სათანადო ღონისძიებები ტარდება, რის შემდეგაც სოფ. ღარის ღარში წყალი სისტემატურად იდენსო.**

—.—

„ნიანგის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ ბარათში ბორჯომის რაიონის სოფ. ყვიბისის ახალგაზრდობა „ნიანგს“ ისეთი ბურთის შოვნას სთხოვდა, რომელიც ახტომა-დახტომის დროს მეზობელ ეზოში არ გადახტებოდა.

ყვიბისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან გვატყობინებენ, **სტადიონის მეზობლად მდებარე ეზო ისეთი მაღალი მავთულის ბადით შემოიღობება, რომ ბურთი ველარ გადავარდებაო. კოლმეურნეობის კლუბი, სადაც კინოსურათებს უჩვენებენ, შეკეთდა, ხოლო მალე სოფელ ყვიბისში ოთხასადგილიანი კულტურის სახლი აშენდებაო.**

ნახ. ვ. კუციასი

77-544

ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76137

ესპანეთის ოცდასამი პოლიტიკური, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოუწოდეს ქვეყნის მშრომელებს მონაწილეობა მიიღონ ესპანეთის წყლებში ჩილეს სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო გემის „ესმერალდას“ „ყოფნის წინააღმდეგ საპროტესტო კამპანიაში. დოკუმენტის ავტორებმა მოუწოდეს მუშებს, სოლიდარობა გამოუცხადონ ჩილელ ხალხს, რომელიც იბრძვის მოფაშისტო მხედრიონის ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

„ესმერალდას“ გასტროლები

მთავარი რედაქტორი ზურღან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომბიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მბ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჯელიძე. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ გადაეცა ასაწყობად 25/VII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 2447 უე. 00790 ტირ. 141.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ბ. ალაშიძე, ბ. ფლისრიძე, თ. ქირვალიძე, ბ. კონტრიძე, ვ. კუცია, ბ. მდივნიშვილი, ბ. ჩეფლიშვილი, ი. ქოქაშვილი, ბ. ცოტაძე.